№ 247. 23 ნოემბერი, კვირა. 1866—1880 23 ნოემბერი, კვირა. № 247

რედაქცია
ცოლაკაულის ბრილიანტზე, ო. ივ. კ. მუხრანელის სახლებში, ბლუების ქვემოთ.
ხელის-მოწერა
ქალაქში „დროებაზე“ „ოგვრეაზე“ რედაქციაში. გარეშე ადგილებთვის: Въ Тифлисѣ, въ редакціи „Дроэба“ и „Цкерія“.
„დროებაზე“-„ივერიაზე“ ფასი
წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს
„დროებაზე“ „ოგვრეაზე“ ერთად. . 13 მან. . . 7 მან. . 4 მ.
ცალკე { „დროებაზე“. . . . . 9 მან. . . 5 მან. . 3 მ.
{ „ოგვრეაზე“. . . . . 6 მან. . . 4 მან. . 2 მ.
ალ კენოშვრი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ოგვრეაზე“ 2 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ერთ ხაზზე 1 კაპ., ხოლო ... რულ ... ზე შეთხზედ 1 კაპ.
თუ ხელმეორეს მოითხოვენ, რედაქცია კანონიერებს და ... ...

ში ჩამოვიდესო. კანონი რასაც ვეიბ-ძანებს, ისე მოვიქცეთ, ჩვენ გვეშინიან ადგილი არ დავკარგოთ და თუ იმათ ამნაირ ბრძანებას უყურეთ, ხალხი ირყვნება, ალარაფერი არა სჯერათ ჩვენი, ზოგი მასხარათ გვაგდებს, რომ თათრებს ჰოქუმათზე უარესი ყოფილა თქვენი ჰოქუმათიო; ყოველთვის მძლავრებისაგან ულონოს დაჩაგვრა თქვენში უფრო შესაძლო ყოფილაო. და სხვ.“

„როგორც სჩანს ამ სიტყვებიდამ, ნამეტნავათაც არ შეგვიძლია მარტო ისინი გავამტყუნოთ, რომ ასე გულაცრუებულათ მოქმედებენ.

„თუმცა ამ ნაირ საყვედურის მთქმელებს არ შეგვიძლია ყველაფერი დაუჯერეთ, რომ იმათი უფროსები ასე თავხედურათ მოქმედებენენ, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც ამ ნაირი ერთი გულ-დამწვარი ნაჩალნიკის ლაპარაკი გვახსენდება, რომელიც ფაქტებით გვარწმუნებდა, რომ მხოლოთ ამისთვის გამომცვალესო, რომ გლეხების საკუთრება ერთ გავლენიან ბეგს არ დაუთმე და გლეხები არ დავაჩაგვრინე და ამისათვის იმ გავლენიანმა ბეგმა ამიბუნტა თავისი კაცები და ჩემზე აჩივლა, რომ ჩვენ ეს ნაჩალნიკი არ გვინდა გამოგვიცვალეთო...“

შეჭველია თავ. ლ. ი. მელიქოვი ყველა ამბავს გაიგონებდა და შეიტყობდა ბათომის მაზრაში მოგზაურობის დროს და ამიტომ იმედიცა გვაქვს, რომ ხალხის კანონიერი საჩივარი დაუკმაყოფილებელი არ დარჩება. მით უფრო იმედი გვაქვს ამისი, რომ თ. მელიქოვს, როგორც ჩვენს გაზეთშიაც ეწერა და როგორც კერძოთ გვაცნობებენ, ყველა გარემოება ბათომის მაზრისა და იქაური ხალხის საჭიროება ადგილობრივ ჩინოვნიკებისაგან კი არ გაუცვნია. არამედ საკუთარის თვალით უნახავს და საკუთარის ყურით გაუგონია...

ახალი ამბები

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ ნათქვამი, რომ, თუ მთავრობა ბათომის მაზრის ხალხს რამდენიმე წლით გადასახადს ვერ აპატიებს, ისიც კარგი იქნებაო, რომ ზოგიერთ ადგილებში, საცა ხალხს ფულად გადახდა არ შეუძლიან ამ გადასახადისა, მიწის ნაწარმოებით გადაახდევინოსო.

ამ უკანასკნელის საგნის შესახებ ერთის ბათომის მაზრის ვითარების კარგათ მცოდნე პირისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი შენიშვნა:

„შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამ ნაირათ ხარჯის აკრებას სიკეთის ნაცვლად სიავის მოტანა უფრო შეუძლია, რადგანაც, როგორც მოგეხსენებათ ამ ჩვენ ცოდვილ დედა-მიწაზე ძრიელ ცოტა გვყავს ანგელოზები და ადვილათ მოსალოდნელია, რომ ამ ნაირი სამართლიანი წესი უკვინიდისოთ მოიხმარონ და იმისთანა ადგილებზეც მთავრობას ისე აჩვენონ, სადაც ფულით გადახდაც შეიძლებათ. აი რა სარგებლობლობის გულისათვის:

„როცა ხალხს შემოსავლით გადაახდევინებენ, საჭირო ხდება ამ შემოსავლის გაყიდვა ვაჭრებზე, ამ შემთხვევაში ვაჭარს შეუძლია გაუამხანაგდეს გამყიდავი და ამ ორივემ წონაშიაც მოატყუონ სოფლელი ხამი ხალხი და თვით მაზანდაში, ფასებშიაცა.

„როდესაც ერთხელვე გადაწყდება გადასახადის ჯამი, მაშინ იმის გადახდაზე ისე ადვილათ ვეღარავის შეეძლება უსამართლოთ სარგებლობა და ხალხის მოტყუილება.

* * *

ალექსანდროვის საოსტატო ინსტიტუტის შაგირდები შამოგვჩივიან, რომ სადილს შემდეგ თეფშებს და დანაჩაგლებს ჩვენ გვაწმენდიებენო და გარდა ამისა, სასადილო ზალა ისე აყროლებულია იქვე მდგომს ფეხისალაგისაგან, რომ გაჭივრებულის მეტი იქ ერთს წამსაც არ დაჰყოფდაო.

* * *

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ერთს კერძო სასწავლებლის დირექტორს ორი კვირის ვადით კარცერში ჩაუსვამს ერთი პანსიონერი შაგირდი, რომელიც ამის გამო სამოცდათუთხმეტს გაკვეთილს მოაკლდაო. მიზეზი ამ მკაცრი სასჯელისა ის ყოფილა, რომ იმ შაგირდს პანსიონის გარდერობის მაგიერ კლასის სტოლის უჯრაში შეუნახავს თავის ქუდი....

* * *

ბაზ. „ალეკაზში“ იწერებიან, რომ ბათომის რკინის გზაზე სამუშაოდ ინჟინერები ჩამოვიდნენ და დღე-დღეზე შეუდგებიან სამტრედიის სტანციიდამ ამ გზის მუშაობასაო.

* * *

ზაქათალიდამ გვწერენ, რომ სოფ. მაწეხში (ზაქათალიდამ 6 ვერსზე) ერთს ვილაც თათარს აქვს არაბულს ენაზე დაწერილი საქართველოს ისტორია, რომელიც შეიცავს მეექვსე საუკუნიდამ დაწყებული კიდრე მეთვრამეტე საუკუნემდინ ჩვენის ქვეყნის ისტორიასაო. სხვათა შორის ამ წიგნში არის მოხსენებული ყველა ნანგრევები, აგრეთვე დიდი ქვით-კარის კედელი, რომელიც გაყვანილი ყოფილა მთის ძირებში; გარდა ამისა აქ არის მოხსენებულიო. იმ ადგილიდამ, საცა დასავლეთის მხრით ყარაკალიდან თავდებოდა, გაყვანილი ოფიციალური არხი (ორმოცი ნაბიჯი სიგანე და ამდენიმე სიღრმე) რომელიც ფოთამდინ (?) მიდიოდაო; და ამ არხით ქართველებს მოჰქონდათ საქონელიო.

თათარი არავის არ აძლევს თურმე ამ წიგნს, ფასითაც არ ჰყიდის.

კორრესპონდენტი გვწერს, კარგი იქნებაო, რომ ჩვენმა არხეოლოგიურ საზოგადოებამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება, იქნება იმან ჩაიგდოს როგორმე ეს წიგნი ხელშიო.

* * *

ბარიდამ იწერებიან, რომ ამ თვის 8-ს იქ გაუხსნიათ ორ კლასიანი საქალაქო სასწავლებელი.

„დროების“ კორრესპონდენცია

სილნაღი, 18 ნოემ. ამას წინეთ „დროებაში“ იყო მოხსენებული, რომ სილნაღის ქალაქის საზოგადოებამ ცხრამეტ წასრულ ოკტომბერს შეადგინა განჩინება, რომლის ძალით ქ. სილნაღში უნდა გაიხსნას საქალებო სასწავლებელი და აგრეთვე სახელოსნო განყოფილება სამოქალაქო სასწავლებელშიო.

მიზეზი ამ განჩინებისა იყო ალეკსიის სასწავლებლების მზრუნველი, იანოვსკი. იმ მობძანდა სილნაღში სკოლების დასახედავათ შვიდ წასრულ ოკტომბერს: თან ახლდა დირექტორი თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლებისა ბ. სტრელიცკი.

აქაური საზოგადოები გამოეცხადა ბ. იანოვსკის და სთხოვა, რომ მართებლობას პროგიმნაზია გაეხსნა ქ. სილნაღში. მაგრამ ბ. იანოვსკიმ დაარწმუნა საზოგადოება რომ პროგიმ-

---

ჩამოშვებულები ბრუნდებიან თავიანთსა და მე შორს ვგონიერთ, იქ, სადმე შორეულ მთის ძირსა... თუ სტუმარი გაჭირვეულდა, პასუხად ეუბნებიან: „ბატონს არ უბრძანებია როდის დაბრუნდებაო“.. და ეს პასუხი ყოველ-გვარ იმედს ულებს შავ-ბედს სტუმარსა.

ამ პასუხით, დღეში უკანასკნელი ნახევარ საათზე მეტს დროს ვიზოგებ. მე გამოანგარიშებული მაქვს, სულ ცოტა რომ ჩავაგდოთ, ჩემს სახლს შემოაქვს წელიწადში ორას სამოცდა-თოთხმეტი საათი, ან თორმეტი დღე და თერთმეტი ღამე.

— ჰა! ჰა... ჰა...

— ეს კიდევ არაფერი. აბა ეხლა ნახე, რაც დიდება და პატივი შემოაქვს ჩემთვის ამ სახლს. ბევრი სულიერი, რომელიც წინათ თავსაც არ მიკრავდა, დღეს, რო შეიტყვეს სახლის პატრონი ვარ, დიდის მორიდებით და მოწიწებით მიხრიან თავს. სწორეთ უთქვამსთ: წყალი წყალს ემატება და სიმდიდრე სიმდიდრესო.

— რა ნიზლავი, რომ შენ ერთი თეფში ხილი შენის ბაღიდამ, სულ ყველაფერი რო კარგათ ვიანგარიშოთ, ორ-სამ მანეთზე ნაკლებ არ დაგიჯდება!

— თუ მეტი არა, მგონი, ნაკლებ არ იყოს.

— აკი გითხარი... მე, ჩემო ძმაო, ამ ფასად ერთ გოდორ ვაშლს ვიყიდი, ან ორ-სამ ნესვს და ჩემთვის გამოსადეგ ნაცნობებს უგზავნი მოსაკითხათ, როგორც ჩემი ბაღჩის ნაყოფს. სხვა გვარი იმათი სიამოვნება ჩემ ჯიბესაც დააკარიელებდა და იმათაც საწყენად დარჩებოდათ. მაგრამ ვის ექნება იმდენი სიმამაცე, რომ უკან დაბრუნოს თორმეტი წყვილი ბადრიჯანი, ერთი კალათა ქარქვიტა და იმდენივე ეკალა, თუ ნამეტურ ეს მოსაკითხი ამ ბარათით არის გაგზავნილი: „ნება მიბოძეთ მოგართვათ ეს მცირე ნაყოფი ჩემის ბაღისაო“. შენ თითონ იფიქრე—თუ როგორ გამომადგება საბოლოოთ ეს ჩემი ნობათი. ჩემი ნაცნობი მაგიერს ბევრ ხანს არ შეირჩენს ვალათ.

— რა ეშმაკი რამ ყოფილხარ!..

— ცხოვრება არ მოხდება, ჩემო ძმაო, ფამისოთ. მაგრამ ჯერ ყური დამიგდე. ჩემ თავაზობას მე ამით მარტო არ ვათავებ: ქოველ ჩემ ნაცნობს ვეპატიჟები ჩემს მამულში: „წელს ვერ მაღირსებთ თქვენ თავს ჩემ სოფელში? მე ყოველთვის ვზათა მაქვს ერთი ოთხი ჩემი მეგობრებისთვის .. როდესაც გენებებათ... სრული თავისუფლების პატრონი იქნებით...“

— ეს კი ნამეტანია! ღმერთი რო გაუწყრეს და გითხრას ვინმემ: „მოვდივარო!“ მაშინ რაღას ეპირებ?

— (ოჰ! იმისი ფიქრი არა მაქვს. ჩემი სახლი ძალიან შორს ავაშენე პარიჟიდან. აქ რომ მქონდეს სადმე მამული სევრში, ფონტენებლოში, პარიჟის მახლობლათ, კვირა-უქმე დღეებში სულს ამომართმევდნენ ჩემი ნაცნობები თავისი პატარებით და ბაჭაჭყალებით. მაგრამ რა ქნან რო ჩემი სახლი 400-500 ვერსზე მაქვს გაშენებული პარიჟიდამ! ეს სიშორეა რო უფუჭიბს იმათ მადას. ვიცი, რომ ისენი ვერ წამოვლენ ამ სიშორეზე და უფრო-და-უფრო ვეპატიჟები: „როგორ! თქვენ არ მოდიხართ? ძალიან მწყენია. იმედი მექნება, რომ მერმის მაინც მეწვევით, მაგრამ გაფრთხილებთ, რომ, თუ არ მოსულხართ საუკუნოთ დაგემდურებით!“ ამ გვარათ მე ყველასთვის საყვარელი კაცი ვახდი. როდესაც მომწყინდება ჩემი სახლი ლიზიმუნდში, უდავიდარაბოთ გადვიტან სადმე შეიეცარიის სამზღვარზე. ახალს მამულში ჩემ სახლს უფრო გავადიდებ. მიუმატებ იმას ჩემს ოცნებაში, გამოხატულებაში ფერმას, ბაღებს, მინდვრებს ერთ გროშის დაუხარჯველათ. ერთის სიტყვით გითხრა, მშვენიერი უძრავ-მოძრავი ქონების კაცი ვარ!

— შენ ისე გვარათ დამაჯერე, უთხრა ბოლოს ამხანაგმა, რომ მე ხვალვე დავაწერ ჩემ სახლზე: ისყიდება. ამას იქით მე მინდა ისეთი ქონების პატრონი გავხდე, როგორც შენა ხარ!

ბ. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზრის გახსნა ჯერ არ არის საჭირო სიღნაღისათვისო და ნაცვლად ამისა მისცა წინადადება საზოგადოებას, რომ მან თავის ხარჯით გახსნას საქალებო სასწავლებელი და აგრეთვე სახელოსნო განყოფილება აქაურს უეზდის სასწავლებელში, რადგან ესენი უფრო საჭირო არის ეხლა ქალაქისათვისო.

საზოგადოებამ ეს წინადადება დიდის სიამოვნებით მიიღო, აღუთქვა ასრულება და მეორე დღეს კლუბში, სადილზედ. სადაც იყო მიწვეული ბატონი იანოვსკი, სტრელეცკი და სხვებიც, სთხოვა ბ. მაზრის უფროსს, როგორც წარმომადგენელს აქაური საზოგადოებისას, რომ მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში და იკისროს განჩინების აღსრულებაში მოყვანა. მაზრის უფროსმა გრაფ ტიზენგაუზენმა ეს საზოგადოების თხოვნა დიდის სიამოვნებით მიიღო და გამოაცხადა თანხმობა.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ, როგორც ახლა სჩანს ბ. გრაფი თურქეცარიელის სიტყვით აცხადებდა თანხმობას.

ცხრამეტ წასრულს ოკტომბერს, როგორც ზევით არის ნათქვამი, შედგა განჩინება ჯანდიერის თანადასწრებით, რომელიც ამ დროს მაზრის მმართველის თანამდებობას ასრულებდა. ორას ოც-და-ათა კაცმა ხელი მოაწერა და სთხოვა ბატ. ჯანდიერს, ეს საზოგადოების განჩინება დროზედ მოიყვანოს სისრულეში. ბ. ჯანდიერმა აღუთქვა საზოგადოებას თხოვნის ასრულება. მაგრამ, საუბედუროდ, ამ დროს ბ. გრაფი მობრძანდა შირაქის მინდვრიდგან და ჩაიბარა მაზრა. საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ გრაფი ამ განჩინებას დროზედ მისცემს ჯეროვანს წარმოებას; მაგრამ როდესაც ერთი თანამგრძნობთაგანი ამ განჩინების მივიდა გრაფთან და ჰკითხა—თუ რა მდგომარეობაშია ეს საზოგადოების განჩინება აი რა პასუხი მისცა: „მე არაფერი შემიძლია რაო, და თუ თქვენ თანამგრძნობელი ხართ, წაიღეთ განჩინება, ჩამოიარეთ სახლებში და, თუ ვინმეს აკლია ხელის მოწერა, მოაწერინეთ!..

ათს ამ ნოემბერს იყო დანიშნული დღე, რომ ნუკრიანაშიდ—ქალაქში შემოწერილ სოფელში, სადაც იყო ტაძრის დღეობა—გიორგობა—და ხალხიც სულ ეკკლესიაში იქნებოდა თავ-მოყრილი, უნდა წაბძანებულიყო გრაფი, ან მისი სეკრეტარი, რომ იქ ხელი მოეწერა. მაგრამ აქაც აკი გვიღალატა? დანიშნულს დღეს ის წაბძანდა სოფელს ასსანაურს თავისი მზარეულის შვილის მოსანათლავად და ეს სასარგებლო და საზოგადო საქმე კი უყურადღებოთ დაგდო. თვითონ სადაც უნდა, იქ წავიდეს, მაგრამ თავისი ამალიც თან წაიყვანა და აქ, რასაკვეველია, მოთავე სეკრეტარი იყო, რომელსაც ქონდა მინდობილი განჩინების ბედის-წერა... პოეტის ნათლობამ აჯობა საზოგადოების განჩინებას.

აი ამნაირი მდგომარეობაშია ეხლა ზემორე-ხსენებული განჩინება აქაურ საზოგადოებისა და თუ უზენაესი ძალა არ დაეხმარა, ვგონებ, მალე ვერ ველირსებით ჩვენ ამ საზოგადო საქმის შესრულებას...

ლიტერატურული დილა თფ. სავაჭო პროგიმნაზიაში

ამ გიორგობისთვის 22-ს ჩვენი თფილისის პროგიმნაზიაში ამ სასწავლებლის შეგირდებს, თვისი მთავროშის დახმარებით, ჰქონდათ გამართული „ლიტერატურული დილა.“ ვიწროო, მაგრამ დიდი დარბაზი გარეშე ხალხით სულ მრთლად დაჭედილი იყო: ყოველ წოდების და წლოვანების ხალხსა ნახავდით იქა.

ვგონებ არც ინანებდნენ აქ მოსულნ... რადგანმამე შეგირდმა მშვენიერად წაიკითხეს რუსული ლექსები და სცენები... ერთმა შეგირდმა ქალიროსის სიყმარწვილეზედ გვითხრა რადგანმე მშვენლობა და სიტყვა, რომელიც აჩვენებდნენ, რომ მათს ავტორს სახელმძღვანელოების გარდა სხვა კაი წიგნებიც წაუკითხავს...

მომეტებული ყურადღება საზოგადოებისა მიექციეს პატარა მკითხველებმა, რომელთაც კარგათ დასწავლული შესაფერი ლექსები ყოჩაღათ წაიკითხეს...

ადგილობრივ ენისა და ლიტერატურისათვისაც მიექციათ ყურადღება აქ.. ორმა ქართველმა მოსწავლემ-აფხაზმა და ჩიჩიკაშვილმა წაიკითხეს ქართული ლექსები. პირველმა „მერანი“—ბარათაშვილისა და მეორემ—„მტარვალებს“ აკაკი წერეთლისა... ვგონებ მკითხველიც შენიშნავს, რომ არც პირველი ლექსი და არც მეორე საყმაწვილო თვისებისანის არ არიან... მომეტებულად „მერანი“ იმისთანა შინაარსიანი ლექსია, რომელსაც, ვგონებ, არავითარი ერთობ, შეხება არა აქვს ყმარწვილი შეგირდის ბუნებასთან, ცხოვრებასთან... ამასთანავე ნამდვილი ლიტერატურული აზრი ენა, დიდებული პოეზია და მაღალი აზრი ამ მშვენიერის ლექსისა თვის მკითხველისა ღა მქადაგებელისაგან თხოულობენ არა მცირედს გონებითს მომზადებას, გავარჯიშებას... ამის გამოისობით ძალიან კარგი იქმნება რომ ჩვენმა მოსწავლე ახალგაზდებმა თავი ანებონ ამ ლექსის წაკითხვას საზოგადოების წინაშე... მეორე ლექსი უფრო ხალხური ენით არის დაწერილი, უფრო მარტივი აზრია გამოხატული მასში და უფრო გარკვევითა სჩანს მისი დედა-აზრი.. საკვირველი არ არის, რომ ამ ლექსის წაკითხვა კარგათ მოუვიდეს ყმარწვილ კაცს მართლაცა, როგორც მითხრეს, (ვერ მიუსწარ) აკაკის ლექსი მშვენიერათ წაეკითხა ყმაწვილ ჩიჩიკაშვილს... მესამე ქართული ლექსიც იყო დანიშნული წასაკითხავად... ეს—„მოგონება“ ჩვენი უცბათ გამომხტარის და მალევე მიჩუმებულის ნიჭიერ მოლექსის — ჭალადიდელისა... მაგრამ ეს ლექსი წაუკითხავად დარჩა, რადგანაც ის შეგირდი, რომელსაც უნდა წაეკითხნა, არ მოვიდა...

საზოგადოთ კარგს შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს „დილა“ იქა მყოფ საზოგადოებაზედ, თუ რომ ერთ რამეს არ დაემალა: ეს იყო უმფროსების ფაცა-ფუცით და ხანდისხან უმფროსული ქნევა ხელების და წარმოებისა... მათი თვალ-წინ ტრიალი ახალგაზდების მოსაწონ ვარჯიშობას რაღაც აფიციალურ, ჩინოვნიკურ ფერსა სდებდნენ... ერთი მიბრძანეთ — რა საჭირონი იყვნენ ესენი ამ დროს? ბაწვრთნილ ყმაწვილებისათვის რომ მიენებებინათ ეს საქმე სრულიად, განა უფრო კარგს, სასიამოვნო შთაბეჭდილებას არ მოახდენდა იქ მყოფ საზოგადოებაზედ?..

ნ. ლ.

გიორგობისთვე 21.

რუსეთი

პეტერბურღი, 15 ნოემ. („დროების კორრესპონდენტი“). სამი დიდი შესანიშნი ამბავი მოხდა ამ ცოტას ხანში რუსეთში და სადაც უნდა შეხვიდეთ ან ერთ ამბავზედ ლაპარაკობენ, ან მეორეზედ და ან მესამეზედ.

პირველი ამბავი არის—ფინანსის მინისტრის გამოცვლა. ამბობენ, ახალი მინისტრი უფრო მცოდნე და გამოცდილი კაცი არისო. უთუოთ ეცდება ჩვენს ფულს ღირსება მოუმატოსო და სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი გონიერ გზაზედ დააყენოსო. ღმერთმა ქნას ამ იმედის გამართლება...

მეორე სასიამოვნო ამბავი ის არის, რომ უმაღლესის განკარგულებით შემდგარია კომისია. ამ კომისიამ უნდა დაწვრილებით განიხილოს საზოგადოთ ბეჭედის კანონები. შეიგნოს მათი ღირსება და ნაკლულევანება და შემდეგ, დროთა მოთხოვნილებისამებრ, შეადგინოს ახალი კანონები.

ამ კომისიამ ამას წინათ თავის რჩევაში მიიწვია უმთავრესნი აქაური ჟურნალ-გაზეთის წარმომადგენელნი. ამათ უნდა განეცხადებინათ კომისიისათვის თავის აზრი და სურვილი. მათაც, რასაკვირველია, ბევრი კარგი ჩაწერებული აზრები წარმოსთქვეს, ასე რომ კომისიამ იმათი აზრები ახალ კანონების შედგენის დროს, რომ ხელდველობაში მიიღოს საწყალ ჩვენ დაჩაგრულ და დაჭლერქებულ ჟურნალ-გაზეთს სული ჩაედგმის. ღმერთმა ინებოს, რომ ეს იმედიც ასრულდეს...

მესამე ამბავი კი ძალიან შესაწუხებელია, მეტადრე საწყალ ჩვენ საქართველოსთვის. ეს ფილოქსერას გაჩენა ქირიმში. გაზეთის კორრესპონდენციის ადგილ-ადგილ ვეს ამ საშინელ მწერზედ დაწვრილებით ლაპარაკს, მით უმეტეს რომ შარშან „ივერიაში“ ცალკე სტატია იყო ამ საგანზედ, სადაც დაწვრილებით იყო ნაჩვენები, თუ რა მავნებელობა შეუძლიან ამ შეჩვენებულ ქმნილებას. მოკლეთ გეტყვი:

ფილოქსერა არის პაწია უჩინარი მწერი, მაგრამ, საშინელი მტერია ვაზისა, ისე რომ ღმერთმა ნუ ქნას, თუ ჩვენში გადმოცოცდა, **ეგეღამ ვენახებზედ ხელი უნდა ავიღოთ.**

აქამდისინ ვერაფერი ღონისძიება ვერ მოუგონიათ იმის გასაწყვეტათ, თუმცა მრავალნი ევროპის მეცნიერნი თავ-გადაგლეჯით და გაცხარებით ცდილობენ.

ამ ორიოდე სიტყვით შეიგნებ, ჩემო მკითხველო, იმ გაჭირვებას, რომელიც ჩვენ მოგველის, თუ თავს არა ვუშველეთ-რა. როგორც წრეულს თითქმის მთელმა საქართველომ გამოიჩინა კალიის გაწყვეტაში მხნეობა და ცდა, ისე მას ეხლა მართებს, რომ თავად-აზნაურობამაც და გლეხ-კაცობამაც ეხლავე დაუყოვნებლივ იშუამდგომლონ მის უმაღლესობასთან კავკასიის ნამესტნიკთან, რომ რაც შეიძლებოდეს ჩქარა ყადაღა დააწესონ შავი ზღვის ყოველ პორტებში; რომ არამცა და არამც, არც ვაზი, არც ხე, არც უბრალო ყურძნის მტევანი, არც ხილი ოდესიდგან, ყირიმიდგან და სხვა რუსეთის ნავთ-სადგურებიდამ (პორტებიდამ) კავკასიის ნავთ-სადგურებში არ შემოიტანონ. აეცხლისგემებშიაც რომ ყურძენი მოსპონ, არ იქნებოდა ურიგო, რადგან შეიძლება მტევანს გადმოჰყვეს. ამ გვარ განკარგულებით შეიძლება კიდევ გადავრჩეთ, თორემ შერი მტერი.

ეს მგონი ათი წელიწადია, რაც ეს ფილოქსერა გაჩნდა ევროპაში და ამ ათ წელიწადში თითქმის ნახევარი ევროპის ვენახებისა გაანადგურა. ამბობენ, ამ ათ წელიწადს იქით ამ მწერის წყალობით **ევროპა უდვინოთ დარჩებაო,** თუ იმის გაწყობის წამალი არ მოიგონესო.

ერთი პაწია გასაკვირველი ამბავი მოხდა ამას წინათ ინგლისში: იქაურ მეფის მემკვიდრეს ოც-და-ხუთი ათასი თუმანი ვალი აქვს. ზოგიერთ დიდ თანამდებობის პირთ უნდოდათ დაეხსნათ პრინცი მოვალეებისაგან. ამისგამო იმათ იკისრეს შუამდგომლობა პირველ მინისტრთან ბლადსტონთან, ურომლოთაც სახელმწიფოს ხაზინიდგან ერთი გროშის დახარჯვა არავის შეუძლიან რომ დაყაბულებულიყო პრინცისათვის ის ოც-და-ხუთი ათასი თუმანი სახელმწიფო ხაზინიდგან გადაეხადნათ, ან წელიწადში ექვსასი თუმანი მოემატათ ჯამაგარი, რადგან მას არა ჰყოფნის თავის უწინდელი ჯამაგირი. მინისტრმა ერთზედაც და მეორეზედაც უარი უთხრა.

საკვირველნი ხალხნი არიან, ღმერთმან იცის ეს ინგლისელები!...

დროებითი პეტერბურდელი.

განცხადებანი

—

ვეფხვის ტყაოსანი

ვისაც აქვს ხელ-ნაწერი ვეფხვის-ტყაოსანი ვსთხოვთ პოემის რედაქციისათვის გვათხოვონ, ორი თვის ვადით. წიგნი შეიძლება გამოიგზავნოს ან „დროება-ივერიის" რედაქციაში, ან „წერა-კითხვის" კანცელარიაში, საპერების ქუჩაზე, № 41.

(3—1)

ახლად გაიხსნა

თევზეულის მაღაზია

ერევნის მეიდანზედ თამამშოვის ქარვასლის ლომების ქვეშ აღმოსავლეთის მხრით, გენერალი ტერ-ასატუროვის სახლების პირ-და-პირ, სადაც ისყიდება პარტიობით და წვრილად ახალ-ახალი ხიზილალა და ქიდკა; აგრეთვე ყოველ-გვარი თევზეული ახალი და ხმელი, რომლებიც მოსდის მაღაზიას სალიანიდამ და იმის გარეშემო ვათაგებიდამ. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ აღნიშნულ მაღაზიას.

5—1

პროვანსკის ზეთის

ფაბრიკა ს. მ. მღებროვისა

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ახალ ფაბრიკაში ვაკეთებული პროვანსკის ზეთი ფუთი 16 მანეთად ისყიდება, ადგილობრივი, კავკასიის ზეთი კი ფუთი 12 მანეთად. წვრიმალად ზეთი ისყიდება სოლოლაკის ქუჩაზე, შაკიევის მაღაზიაში, ღენ. სუმბათოვის სახლებში, და ნარდათ, პარტიობით კი მღებროვის საკუთარს მამულში ერევნის ქუჩაზე, სახლის № 16.

ვინც ქალაქს გარეშე ადგილებიდამ დაიბარებს ამ ზეთს, მოთხოვნილებას მსწრაფლად და ბეჯითად შეუსრულებთ. ვინც ნარდათ, პარტიობით ისყიდის ბლომად, იმათ 10% დაეთმობა 100 მანეთის საქონელზე.

ამას გარდა აქვე ისყიდება კაპტონი, ზეთის ნახადი, რომელიც ასუქებს ყოველ გვარ შინაურ საქონელს, ფუთი 1 მან. (5—2)

ОБЪ ИЗДАНIИ
ВЪ ТИФЛИСѢ
ХУДОЖЕСТВЕННО-ЮМОРИСТИЧЕСКАГО ЖУРНАЛА

ФАЛАНГА

„ФАЛАНГА" будетъ выходить еженедѣльно по воскресеньямъ. Первый нумеръ выйдетъ въ послѣднихъ числахъ ноября мѣсяца текущаго года. Нумера нынѣшняго года предназначаются исключительно для розничной продажи, которая будетъ организована въ Тифлисѣ и въ прочихъ городахъ Имперіи. По подпискѣ-же журналъ будетъ доставляться съ января мѣсяца будущаго 1881 года.

условія подписки:

Съ доставкою на домъ.			Съ разсылк. по Имперіи		
На 1 годъ.	8 руб.	— к.	На 1 годъ.	8 руб	50 к.
„ 6 мѣс.	4 „	50 „	„ 6 мѣс.	5 „	— „
„ 3 „	2 „	50 „	„ 3 „	2 „	75.

Подписка и объявленія принимаются въ конторѣ редакціи, на Эриванской площади, въ д. Харазова, № 3.

Контора открыта ежедневно отъ 9 до 2 и отъ 5 до 7 часовъ вечера.

—

ОТЪ РЕДАКЦІИ „ФАЛАНГА"

Статьи, стихотворенія и корреспонденціи предназначаемыя для напечатанія въ „Фалангѣ", должны быть за подписью автора и съ адресомъ его, иначе печатанію они подлежать не будутъ.

Статьи безъ обозначенія условій гонорара будутъ считаться редакціей безплатными.

Редакція оставляетъ за собою право сокращать и измѣнять присланныя рукописи по своему усмотрѣнію.

Статьи, признанныя редакціей неудобными къ печати авторамъ не возвращаются.

Для объясненій съ редакторомъ редакція открыта по понедѣльникамъ, средамъ и пятницамъ, отъ 12 до 3 часовъ по полудни. Адресъ: Тифлисъ, Эриванская площ., домъ № 3,

Въ трудахъ редакціи непосредственное участіе примутъ Н. В. Симборскій, и Горесмѣховъ (Это не я). Изъ числа лицъ, изъявившихъ согласіе быть сотрудниками „Фаланги" назовемъ пока Д. Д. Минаева, А. И. Пальма, Н. А. Плещеева, К. А. Бебутова, И. Ф. Тхоржевскаго, (Иванъ да Марья), „Наслѣдственнаго Поэта", Ак. Церетели... Каррикатуры будутъ исполняться художникомъ Петерсономъ (псевдонимъ).

Редакторъ-издатель *Ив. Питоевъ*.

3—1

პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მ-ნეთიდამ; სარმევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გუდრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინდოურ; პოკალების კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—80)

ტფილისში

შავერდოვის გაზეთის სააგენტო

(გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შავერდოვის პავილიონში.)

დაიწყო ხელის-მოწერის დრო 1881 წლისათვის

ყველა დრო-გამოშვებითი გამოცემაებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: Въ Тифлисъ, въ газетное агентство **В. Шавердова**.

(25—9)

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნი საქართველოს ეგზარხოსის ნებართვით

პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოს ეფენდისთან

თხზულება ს. ბეგიაშვილისა

ფასი 70 კაპ.

10—8

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

ქუთაისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო აცხადებს: 1, რომ მერვე (VIII) ტირაჟში, რომელიც, ბანკის წესდების § 60 ძალით, მოხდა 1 ნოემბერს ამ 1880 წლისა, გამოვიდნენ შემდეგნი გირავოს ფურცელნი ამა ბანკისა:

ა, 4$^{1}/_{2}$ წლიანნი:

II	სერიისა	100 მანეთი	№ — 5
III	„	„ „	— — 7,60 და 73.
IV	„	„ „	— — 38 და 50.
V	„	500 „	— — 57.
VI	„	100 „	— — 36,76 და 193.
VII	„	„ „	— — 37, და 248.
VIII	„	500 „	— — 374.

ბ, 18$^{1}/_{12}$ წლიანნი:

II	„	1000 „	— — 69.
III	„	„ „	— — 19.
IV	„	500 „	— — 36.
„	„	100 „	— — 5,61 და 76.
V	„	„ „	— 2 და 5.
VI	„	„ „	— 10, 12 და 49.
VII	„	1000 „	— 79 და 84.
„	„	500 „	— 78.
„	„	100 „	— 25, 289 და 346.
VIII	„	1000 „	— 412, 417, 428, 456, 479, 516, 549, 574, 628, 634
„	„	„ „	— 688, 716, 735, 744 და 839.
„	„	500 „	— 267, 283, 298, 308, 319, 329 და 334
„	„	100 „	— 776, 862 და 906.
IX	„	1000 „	— 929.
„	„	500 „	— 344.
„	„	100 „	— 988 და 989.

და 2, რომ უწინდელს ტირაჟებში გამოსულთ გირავოს ფურცელთაგან არ წარმოდგენილან საზღვეველად შემდეგნი:

ა, 4$^{1}/_{2}$ წლიანნი:

მე-IV ტირაჟში, რომელიც მოხდა 1 ნოემბერს 1878 წლისა.

III სერიისა 100 მანეთიანნი № № 11 და 12.

მე-V ტირაჟში, რომელიც მოხდა 26 ივნისს 1879 წლისა.

IV	„	„ „	— — 23 და 53.
VI	„	„ „	— 51.

მე-VI ტირაჟში, რომელიც მოხდა 7 დეკემბერს 1879 წლისა.

IV	„	„ „	— — 71.

მე-VII ტირაჟში; რომელიც მოხდა 28 მაისს 1880 წლისა.

III	„	500 „	— — 79.
IV	„	100 „	— — 80.

ბ, 18$^{1}/_{12}$ წლიანნი:

მე-V ტირაჟისა, რომელიც მოხდა 26 ივნისს 1879 წ.

II	„	100 „	— — 173 და 178.
V	„	„ „	— — 3.

მე-VI ტირაჟისა, რომელიც მოხდა 7 დეკემბერს 1879 წ.

VI	„	„ „	— — 62.
V	„	„ „	— — 4 და 24.

მე-VII ტირაჟისა. რომელიც მოხდა 28 მაისს 1880 წ.

V	„	100 „	— — 20 და 26.
VII	„	1000 „	— 10.
„	„	500 „	— — 63 და 74.
„	„	100 „	— — 30, 146, 235, 251, 298 და 326.

შენიშვნები:

1) მერვე ტირაჟში გამოსულთ გირავოს ფურცელთა და აგრეთვე მიმდინარე კუპონთა ზღვევა დაიწყება 2 იანვრიდამ 1881 წლისა და მერმე ამ დროიდგანვე ისპობა ამ გირავოს ფურცლების სარგებელიცა.

2) უწინდელს ტირაჟებში გამოსულს გირავოს ფურცლებს აქვსთ სარგებელი:

ა) მეოთხის ტირაჟისა 1 იანვრამდე 1879 წლისა.
ბ) მეხუთის „ 1 ივლისამდე იმავე წლისა.
გ) მეექვსის „ 1 იანვრამდე 1880 წლისა.
დ) მეშვიდის „ 1 ივლისამდე იმავე წლისა.

3) საზღვევად წარმოდგენილს გირავოს ფურცლებს ყველა კუპონებიზედ უნდა ჰქონდესთ სარგებლის მისპობის ვადამდის, როგორც მოხსენებულია 1 და 2 შენიშვნებში; ხოლო უკეთუ ამ კუპონების რიცხვიდამ რამოდენიმე დააკლდა, მაშინ ამ დანაკლისის კუპონების ფასი გამოირიცხება გირავოს ფურცლების საზღვეველის ფულიდან.

4) ტირაჟში გამოსულის გირავოს ფურცლების და აგრეთვე კუპონების ზღვევა მოხდება:

ქ. ქუთაისს—ბანკის სამმართველოში.
ქ. ტფილისს—ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში.
ქ. ს.-პეტერბურღს—ბ.ბ. ტომსონ ბონარ და კომპ. საბანკო კანტორაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 Ноября 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.